დანართი№2

დამტკიცებულია
სსიპ გრიგოლ წულუკიძის სამთო ინსტიტუტის
დირექტორის 2024 წლის 23 მაისის №18 ბრძანებით

კონკურსის პირობები

საჯარო სამართლის იურიდიული პირი
გრიგოლ წულუკიძის სამთო ინსტიტუტი

აცხადებს

ღია კონკურსს

შემდეგი ვაკანტური სამეცნიერო სტრუქტურული ერთეულის ხელმძღვანელის და მეცნიერი თანამშრომელის თანამდებობების დასაკავებლად:

საინჟინრო-გეოლოგიური კვლევების და პროექტირების სამეცნიერო ცენტრის უფროსი, პროექტირების ჯგუფის უფროსი, მთავარი მეცნიერი თანამშრომელი

ადგილების რაოდენობა - 1.

თანამდებობრივი სარგო - 2420 ლარი.

სამუშაოს ტიპი - სრული განაკვეთი.

ფუნქციები:

- ცენტრის ხელმძღვანელობა, სამეცნიერო და საორგანიზაციო საქმიანობის წარმართვა;
- სამეცნიერო-კვლევითი და გამოყენებითი სამუშაოების პერსპექტიული და წლიური თემატური გეგმების და ბიუჯეტის პროექტის შემუშავების ორგანიზება და ინსტიტუტის სამეცნიერო საბჭოსათვის განსახილველად წარდგენა;
- სამეცნიერო საბჭოსთვის შესრულებული სამუშაოს ანგარიშის წარდგენა;
- ინსტიტუტის პროგრამით, საინჟინრო-გეოლოგიურიკვლევების, საკონსტრუქტორო კვლევების და პროექტირების მიმართულებით, სპეციალური დავალებებითა და ინსტიტუტის სახელშეკრულებო ვალდებულებებით ცენტრზე განპიროვნებული სამუშაოების ხელმძღვანელობა;
- სტატიების, ნაშრომების მომზადება და დირექტორის და სამეცნიერო საბჭოს თანხმობით საქართველოს ან საერთაშორისო ჟურნალებში გამოქვეყნება;
- დირექტორის და სამეცნიერო საბჭოს თანხმობით სიმპოზიუმებში, კონფერენციებში მონაწილეობა;
- სამეცნიერო საბჭოსთან შეთანხმებით მომზადება/მონაწილეობის მიღება და პროექტების წარადგენა დასაფინანსებლად საქართველოს ან საერთაშორისო სამეცნიერო ფონდებში;
- ცენტრის საქმიანობის წარმართვა თანამედროვე, საერთაშორისო სტანდარტული ტექნიკური პირობების, ნორმების - წესების და ნორმატიული დოკუმენტების მოთხოვნების შესაბამისად;
- ცენტრის თანამშრომლების მიერ შრომითი ხელშეკრულებით ნაკისრი მოვალეობების შესრულების უზრუნველყოფა;
- ახალგაზრდა სპეციალისტების მოზიდვა და კვალიფიკაციის ამაღლების ხელშეწყობა;

- ცენტრის სამეცნიერო სემინარების ორგანიზება და მონაწილეობა;
- ცენტრის თანამშრომლებთან გაფორმებული ხელშეკრულებების შეთანხმება;
- ინსტიტუტის დირექტორისთვის ცენტრის ბიუჯეტის პროექტის წარდგენა;
- საიდუმლო მასალებზე მუშაობის მსვლელობის კონტროლი;
- დირექციის წინაშე შტატების, სამუშაოს ორგანიზების, თანამშრომელთა კვალიფიკაციის ამაღლების, მათი წახალისების ან/და დისციპლინარული პასუხისმგებლობის შესახებ წინადადებების წარდგენა;
- ცენტრის თანამშრომლების მიერ შინაგანაწესის დაცვის კონტროლი;
- კონტროლი ლაბორატორიის თანამშრომლების მიერ უსაფრთხოების ტექნიკის წესების დაცვაზე;
- კონტროლი ლაბორატორიის თანამშრომლების მიერ შრომის უსაფრთხოების წესების დაცვაზე და შესაბამისი დოკუმენტაციის წარმოებაზე;
- ლაბორატორიის საქმიანობის უზრუნველსაყოფად აუცილებელი მასალების და საქონლის შესაძენად განაცხადების მომზადებისა და წარდგენის ორგანიზება დადგენილი წესის მიხედვით;
- ლაბორატორიის მატერიალურ ფასეულობებზე პასუხისმგებელი პირის შერჩევა, კონტროლი აღნიშნული ქონების მიზნობრივად გამოყენებაზე და დაცვაზე;
- პროექტების ხელმძღვანელობა შესრულების ყველა სტადიაზე;
- ცენტრის საქმიანობის ხელმძღვანელობა;
- ცენტრის თანამშრომლებს შორის ფუნქციების განაწილება, დავალებების გაფორმება;
- ცენტრის თანამშრომლების სამსახურებრივი მოვალეობების შესრულების კონტროლი;
- ცენტრის საკონკურსო თანამდებობებზე კანდიდატთა შერჩევის, თანამშრომელთა ატესტაციისა და სტაჟირების პროცესებში მონაწილეობა;
- წინადადებების წარდგენა დირექციის წინაშე შტატების, მუშაობის ორგანიზების, მოსამსახურეების კვალიფიკაციის ამაღლების, მათი წახალისების ან/და დისციპლინარული პასუხისმგებლობის შესახებ;
- პროექტირებისთვის აუცილებელი კვლევების ორგანიზება;
- უშუალო მონაწილეობა პროექტირების, კონსტრუირებისა და კვლევების პროცესში;
- ცენტრის სპეციალისტებთან ერთად საპროექტო გადაწყვეტების ტექნიკური დავალების მომზადება და მოქმედ სამშენებლო ნორმებთან შესაბამისობაში მოყვანა;
- დასამტკიცებლად წარდგენა და შემუშავებული პროექტების დაცვა ზემდგომი ორგანოებისა და დამკვეთის წინაშე;
- ცენტრის საქმიანობასთან დაკავშირებული სხვა საკითხების ხელმძღვანელობა;
- კომპეტენციის ფარგლებში ინსტიტუტში საბაზო დაფინანსებით მიმდინარე სხვა სამეცნიერო სამუშაოებში მონაწილეობის მიღება;
- კომპეტენციის ფარგლებში სამუშაო ჯგუფების და კომისიების საქმიანობაში მონაწილეობა;
- კომპეტენციის ფარგლებში დირექციის სხვა დავალებების და მითითებების შესრულება.

<u>განათლება</u>:
- უმაღლესი ტექნიკური განათლება;
- დოქტორის ან მასთან გათანაბრებული აკადემიური ხარისხი.

<u>სამუშაო გამოცდილება</u>:
- ცენტრის საქმიანობის მიმართულებით სამეცნიერო-კვლევითი საქმიანობის არანაკლებ 6 წლიანი გამოცდილება.

<u>კანონმდებლობის ცოდნა:</u>
- „საქართველოს შრომის კოდექსი“;

- სსიპ გრიგოლ წულუკიძის სამთო ინსტიტუტის წესდება;
- საქართველოს კანონი „მეცნიერების, ტექნოლოგიებისა და მათი განვითარების შესახებ“;
- სამშენებლო წესები და ნორმები.
- „სახელმწიფო საიდუმლოების შესახებ“ საქართველოს კანონმდებლობის ზოგადი ცოდნა;
- უსაფრთხოების ტექნიკის დაცვასთან დაკავშირებული ნორმატიული აქტები;
- ცენტრის საქმიანობასთან დაკავშირებული მოქმედი ნორმატიული დოკუმენტები.

ენების ცოდნა:
- ქართული ენის ძალიან კარგად ცოდნა;
- ინგლისური და რუსული ენის ცოდნა.

კომპუტერის ცოდნა
- Microsoft Office Word, Microsoft Office Excel, Microsoft Office PowerPoint, Microsoft Office Visio, Microsoft Office Outlook, AutoCAD, ArchiCAD, 3D MAX, Photoshop, ინტერნეტი - ძალიან კარგად ცოდნა.

სასურველი პროფესია:
- ინჟინერი;

სპეციფიკური ცოდნა და გამოცდილება:
- საპროექტო/საკონსტრუქტორო საქმიანობის არანაკლებ 2 წლიანი და ხელმძღვანელ თანამდებობაზე მუშაობის არანაკლებ ერთწლიანი გამოცდილება;
- სხვადასხვა სახის პროექტებზე (სამოქალაქო და სამრეწველო მშენებლობა, ხიდები და მცირე საინჟინრო ნაგებობები, გვირაბები და მიწისქვეშა ნაგებობები, გზები და ა.შ. მუშაობის გამოცდილება;

კომპეტენციები:
- ხელმძღვანელობის, ზედამხედველობის და გადაწყვეტილების სწრაფად მიღების უნარი, პასუხისმგებლობის გრძნობა, ანალიტიკური აზროვნების უნარი, გამართულად წერისა და მეტყველების უნარი, საკუთარი პოზიციის დასაბუთების უნარი, გუნდურად მუშაობის უნარი, სტრესულ სიტუაციაში მუშაობის უნარი, შრომისმოყვარეობა და თვითგანვითარებაზე ორიენტირებულობა, კომუნიკაბელურობა, პროფესიონალიზმი, პროდუქტიულობა.

სავალდებულოდ წარმოსადგენი დოკუმენტაცია:
- განცხადება არსებული ფორმის შესაბამისად;
- განათლების დამადასტურებელი დიპლომის ასლი;
- პირადობის დამდასტურებელი მოწმობის ასლი;
- ავტობიოგრაფია/CV;
- ერთი სამეცნიერო ნაშრომის სტატიის ასლი, რომელიც განმცხადებლის აზრით უკეთესად წარმოაჩენს მის სამეცნიერო პოტენციალს/კვლევის უნარს;
- შესაბამისი სტრუქტურული ერთეულის განვითარების ხედვა;
- გამოქვეყნებული სამეცნიერო ნაშრომების ჩამონათვალი, ადგილობრივ და საერთაშორისო კონფერენციებში მონაწილეობის დამადასტურებელი მასალები (ბოლო 5 წლის განმავლობაში);
- შესაბამისი დარგის ორი მეცნიერის საკონტაქტო ინფორმაცია, რომელთაც შეიძლება რეკომენდაცია გაუწიონ კონკურსანტს (სახელი, გვარი, ტელეფონი, ელფოსტა, მისამართი).

არსებობის შემთხვევაში წარმოსადგენი დოკუმენტაცია:
- ინფორმაცია სამეცნიერო გრანტებში მონაწილეობის შესახებ;
- პატენტების, საავტორო მოწმობების, ლიცენზიების, გამოყენების აქტების და სამეცნიერო მოღვაწეობასთან დაკავშირებული სხვა დამადასტურებელი დოკუმენტაციის ჩამონათვალი.

შენიშვნა:
1. აღნიშნული დოკუმენტების წარმოუდგენლობა ან არაჯეროვანი სახით წარმოდგენა გამოიწვევს კონკურსანტის მოხსნას კონკურსიდან.
2. განცხადება უნდა იყოს ხელმოწერილი, დათარიღებული და შემდეგ დასკანერებული სახით წარმოდგენილი.
3. დოკუმენტები წარდგენილი უნდა იქნეს სახელმწიფო ენაზე (უცხოურენოვანი დოკუმენტის შემთხვევაში საჭიროა მისი ნოტარიულად დამოწმებული თარგმანის წარდგენა).

კონკურსანტებმა განცხადება და მოთხოვნილი დოკუმენტაცია უნდა წარმოადგინონ ელექტრონულად, ელ. ფოსტის - tmi@mining.org.ge, საშუალებით.

კონკურსში მონაწილეობისათვის საბუთების მიღება იწყება **2024 წლის 24 ივნისს** და დამთავრდება **2024 წლის 4 ივლისს.**

კონკურსი ჩატარდება 2 ეტაპად:
I ეტაპი - განაცხადების გადარჩევა, რაც გულისხმობს კონკურსანტის მონაცემების შესაბამისობის დადგენას ვაკანტური თანამდებობისათვის განსაზღვრულ მოთხოვნებთან;
II ეტაპი - შერჩეული განაცხადების საფუძველზე მეორე ეტაპზე გადასული კონკურსანტის გასაუბრება სამეცნიერო საბჭოსთან.

შერჩევის მეორე ეტაპზე გადავლენ მხოლოდ ის კონკურსანტები, რომელთა მონაცემებიც დააკმაყოფილებს დადგენილ მოთხოვნებს.

გასაუბრებაზე კონკურსანტის დროულად არგამოცხადების შემთხვევაში, იგი მოიხსნება კონკურსის მეორე ეტაპიდან.

კონკურსის ყოველი ეტაპის შედეგები კონკურსანტს ეცნობება გადაწყვეტილების მიღებიდან არაუგვიანეს 2 სამუშაო დღისა, მის მიერ განაცხადში მითითებული ელექტრონული ფოსტის მისამართზე.

ფეთქებადი მასალების ექსპერტიზის, აფეთქებისგან დამცავი სტრუქტურების და მაღალტექნოლოგიური კომპოზიტების განყოფილების ფეთქებადი ნივთიერებების სინთეზის, ექსპერტიზის და აფეთქების ტექნოლოგიების ლაბორატორიის **მეცნიერი თანამშრომელი**

ადგილების რაოდენობა - 1

თანამდებობრივი სარგო - 1155 ლარი.

სამუშაოს ტიპი - სრული განაკვეთი.

ფუნქციები:

- სამეცნიერო საქმიანობის წარმართვა განყოფილების დებულების, პროგრამის და ინდივიდუალური გეგმის შესაბამისად;
- სამეცნიერო-კვლევითი თემატიკის და სამუშაო პროგრამის (გეგმა-გრაფიკი) დამოუკიდებლად განსაზღვრა და განყოფილების უფროსის რეკომენდაციით ინსტიტუტის სამეცნიერო საბჭოსთვის წარდგენა;
- ლაბორატორიის პერსპექტიული კვლევების სამუშაო გეგმის შედგენაში და სემინარულ მუშაობაში მონაწილეობა;
- სამეცნიერო საბჭოსთვის შესრულებული სამუშაოს ანგარიშის წარდგენა;

- სტატიების, ნაშრომების მომზადება და განყოფილების უფროსის რეკომენდაციით, დირექტორის და სამეცნიერო საბჭოს თანხმობით საქართველოს ან საერთაშორისო ჟურნალებში გამოქვეყნება;
- განყოფილების უფროსის რეკომენდაციით, დირექტორის და სამეცნიერო საბჭოს თანხმობით სიმპოზიუმებში, კონფერენციებში მონაწილეობა;
- განყოფილების უფროსთან და სამეცნიერო საბჭოსთან შეთანხმებით პროექტების წარდგენა დასაფინანსებლად საქართველოს ან სხვა საერთაშორისო სამეცნიერო ფონდებში;
- სამეცნიერო-კვლევითი სამუშაოების მაღალხარისხოვნად შესრულების მიზნით ლაბორატორიული ბაზების სრულყოფაში და სამეცნიერო შემოქმედებითი კოლექტივების ჩამოყალიბებაში მონაწილეობა;
- კომპეტენციის ფარგლებში ინსტიტუტში საბაზო დაფინანსებით მიმდინარე სხვა სამეცნიერო სამუშაოებში მონაწილეობა;
- კომპეტენციის ფარგლებში სამუშაო ჯგუფების და კომისიების საქმიანობაში მონაწილეობა;
- კომპეტენციის ფარგლებში დირექციის და განყოფილების უფროსის სხვა დავალებების და მითითებების შესრულება.

<u>განათლება</u>:
- უმაღლესი ტექნიკური ან საბუნებისმეტყველო განათლება;
- მაგისტრის ან მასთან გათანაბრებული აკადემიური ხარისხი.

<u>სამუშაო გამოცდილება</u>:
- ლაბორატორიის საქმიანობის მიმართულებით სამეცნიერო-კვლევითი საქმიანობის არანაკლებ 2 წლიანი გამოცდილება.

<u>კანონმდებლობის ცოდნა:</u>
- საქართველოს კანონი „მეცნიერების, ტექნოლოგიებისა და მათი განვითარების შესახებ“;
- „საქართველოს შრომის კოდექსის” ზოგადი ცოდნა;
- სსიპ გრიგოლ წულუკიძის სამთო ინსტიტუტის წესდება;
- „სახელმწიფო საიდუმლოების შესახებ“ საქართველოს კანონმდებლობის ზოგადი ცოდნა;
- საამფეთქებლო სამუშოების უსაფრთხოების შესახებ ტექნიკური რეგლამენტი;
- ლაბორატორიის საქმიანობასთან დაკავშირებული მოქმედი ნორმატიული აქტები.

<u>ენების ცოდნა</u>:
- ქართული ენის კარგად ცოდნა;
- ინგლისური ან რუსული ენის ცოდნა.

<u>კომპუტერის ცოდნა</u>
- Microsoft Office Word, Microsoft Office Excel, Microsoft Office PowerPoint, ინტერნეტი - კარგად ცოდნა.

<u>სპეციფიკური ცოდნა და გამოცდილება:</u>
- კვლევების შედეგების სისტემატიზაციის, ანალიზის, პუბლიკაციების, ანგარიშების მომზადების და პრეზენტაციის უნარი.

<u>კომპეტენციები:</u>
- გადაწყვეტილების სწრაფად მიღების უნარი, პასუხისმგებლობის გრძნობა, ანალიტიკური აზროვნების უნარი, გამართულად წერისა და მეტყველების უნარი, საკუთარი პოზიციის დასაბუთების უნარი, გუნდურად მუშაობის უნარი, სტრესულ სიტუაციაში მუშაობის უნარი, შრომისმოყვარეობა და თვითგანვითარებაზე ორიენტირებულობა, კომუნიკაბელურობა, პროფესიონალიზმი, პროდუქტიულობა.

<u>სავალდებულოდ წარმოსადგენი დოკუმენტაცია:</u>

- განცხადება არსებული ფორმის შესაბამისად;
- განათლების დამადასტურებელი დიპლომის ასლი;
- პირადობის დამდასტურებელი მოწმობის ასლი;
- ავტობიოგრაფია/CV;
- ერთი სამეცნიერო ნაშრომის სტატიის ასლი, რომელიც განმცხადებლის აზრით უკეთესად წარმოაჩენს მის სამეცნიერო პოტენციალს/კვლევის უნარს;
- გამოქვეყნებული სამეცნიერო ნაშრომების ჩამონათვალი, ადგილობრივ და საერთაშორისო კონფერენციებში მონაწილეობის დამადასტურებელი მასალები (ბოლო 5 წლის განმავლობაში);
- შესაბამისი დარგის ორი მეცნიერის საკონტაქტო ინფორმაცია, რომელთაც შეიძლება რეკომენდაცია გაუწიონ კონკურსანტს (სახელი, გვარი, ტელეფონი, ელფოსტა, მისამართი).

<u>არსებობის შემთხვევაში წარმოსადგენი დოკუმენტაცია:</u>

- ინფორმაცია სამეცნიერო გრანტებში მონაწილეობის შესახებ;
- პატენტების, საავტორო მოწმობების, ლიცენზიების, გამოყენების აქტების და სამეცნიერო მოღვაწეობასთან დაკავშირებული სხვა დამადასტურებელი დოკუმენტაციის ჩამონათვალი.

შენიშვნა:
1. აღნიშნული დოკუმენტების წარმოუდგენლობა ან არაჯეროვანი სახით წარმოდგენა გამოიწვევს კონკურსანტის მოხსნას კონკურსიდან.
2. განცხადება უნდა იყოს ხელმოწერილი, დათარიღებული და შემდეგ დასკანერებული სახით წარმოდგენილი.
3. დოკუმენტები წარდგენილი უნდა იქნეს სახელმწიფო ენაზე (უცხოურენოვანი დოკუმენტის შემთხვევაში საჭიროა მისი ნოტარიულად დამოწმებული თარგმანის წარდგენა).

კონკურსანტებმა განცხადება და მოთხოვნილი დოკუმენტაცია უნდა წარმოადგინონ ელექტრონულად, ელ. ფოსტის - tmi@mining.org.ge, საშუალებით.

კონკურსში მონაწილეობისათვის საბუთების მიღება იწყება **2024 წლის 24 ივნისს** და დამთავრდება **2024 წლის 04 ივლისს.**

კონკურსი ჩატარდება 2 ეტაპად:
I ეტაპი - განაცხადების გადარჩევა, რაც გულისხმობს კონკურსანტის მონაცემების შესაბამისობის დადგენას ვაკანტური თანამდებობისათვის განსაზღვრულ მოთხოვნებთან;
II ეტაპი - შერჩეული განაცხადების საფუძველზე მეორე ეტაპზე გადასული კონკურსანტის გასაუბრება საკონკურსო კომისიასთან.

შერჩევის მეორე ეტაპზე გადავლენ მხოლოდ ის კონკურსანტები, რომელთა მონაცემებიც დააკმაყოფილებს დადგენილ მოთხოვნებს.

გასაუბრებაზე კონკურსანტის დროულად არგამოცხადების შემთხვევაში, იგი მოიხსნება კონკურსის მეორე ეტაპიდან.

კონკურსის ყოველი ეტაპის შედეგები კონკურსანტს ეცნობება გადაწყვეტილების მიღებიდან არაუგვიანეს 2 სამუშაო დღისა, მის მიერ განაცხადში მითითებული ელექტრონული ფოსტის მისამართზე.

დამატებითი ინფორმაციისათვის საკონტაქტო პირი
ვერიჩკა მაჭარაშვილი, ადამიანური რესურსების და
საქმისწარმოების სამმართველოს უფროსი
ტელეფონი 577 39 25 54
tmi@mining.org.ge